საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/1374
31.12.2024

ბრძანება

1374-01-4-202412311635

შპს „ქართული ცემენტის“ (ს/ნ 230866435) მიერ შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ (ს/ნ 404956286) აქტივების შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-7, მე-3 და მე-6 პუნქტების, 11^1 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-9 პუნქტის, 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-7 პუნქტის, მე-8^1 მუხლის, მე-8^2 მუხლის, მე-14 მუხლის, მე-16 მუხლისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს გადაწყვეტილება შპს „ქართული ცემენტის“ (ს/ნ 230866435) მიერ შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ (ს/ნ 404956286) აქტივების შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ თანდართული სახით;

2. შპს „ქართული ცემენტის“ (ს/ნ 230866435) მიერ შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ (ს/ნ 404956286) აქტივების შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნეს კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილებითა და მისი დანართით გათვალისწინებული დამოუკიდებელი ქცევითი ვალდებულებების შესრულების პირობით;

3. გადაწყვეტილება გაეგზავნოს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში შეტყობინების წარმომდგენ პირს;

4. გადაწყვეტილება მისი მიღებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, სახელმწიფო, კომერციულ, პროფესიულ, პერსონალურ ან/და

საგადასახადო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვით;

5. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით წინამდებარე აქტის ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64);

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

გადაწყვეტილება

შპს „ქართული ცემენტის“ (ს/ნ 230866435) მიერ შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ (ს/ნ 404956286) აქტივების შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ

I. ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოში (შემდგომ - „სააგენტო“) 2024 წლის 04 ოქტომბერს N01/5078 წერილით შემოვიდა შეტყობინება შპს „ქართული ცემენტსა“ (ს/ნ 230866435) და შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიას“ (ს/ნ 404956286) შორის განსახორციელებელი კონცენტრაციის თაობაზე. აღნიშნული შეტყობინება ცნობილ იქნა დასაშვებად და 2024 წლის 08 ოქტომბრის კორესპონდენციით მხარის მიერ სააგენტოში წარმოდგენილ იქნა შეტყობინების განხილვისათვის დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი.[1]

შეტყობინება მოიცავდა დადგენილი ფორმით მოთხოვნილ შემდეგ ინფორმაციას კონცენტრაციის შესახებ:

- ზოგადი მონაცემები კონცენტრაციაში მონაწილე პირთა შესახებ;
- ზოგადი ინფორმაცია კონცენტრაციის შესახებ - მისი ფორმა და მიზანი;
- ინფორმაცია კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული პირებისა და 2023 წელს მათი ერთობლივი შემოსავლების შესახებ;
- კონცენტრაციის აღწერა - მხარის მოსაზრება შესაბამის ბაზართან დაკავშირებით, უახლოესი 24 თვის ეკონომიკური და ბიზნესგეგმები, კონცენტრაციის სავარაუდო შედეგები, კონცენტრაციის მოსალოდნელი შედეგების აღწერა, მოლოდინები კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ზეგავლენის შესახებ. ასევე, საკითხები, რამაც მხარეთა მოსაზრებით შეიძლება გავლენა იქონიოს საკითხის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტაზე და რაზეც სააგენტოს მიერ ყურადღება უნდა იქნეს გამახვილებული.

<u>შეტყობინებას დანართის სახით თან ახლდა:</u>

- კონცენტრაციის მხარეებისა და მათთან დაკავშირებული პირების მონაცემების ამსახველი სქემები;
- ინფორმაცია შემძენი კომპანიის მართვაში არსებული ცემენტისა და ბეტონის მწარმოებელი ობიექტების შესახებ;
- კონცენტრაციის მხარეთა მიერ წარმოებული, შეძენილი და რეალიზებული საქონლისა თუ მომსახურების ნუსხა;

[1] 2024 წლის 08 ოქტომბრის წერილი რეგ. N 01/5119.

- ინფორმაცია წარმოებული ცემენტის სახეობების, ასევე წარმოებული და რეალიზებული საქონლის მოცულობების შესახებ.

ინფორმაცია კონცენტრაციაში მონაწილე ეკონომიკური აგენტების შესახებ:

შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ (ს/ნ 404956286) 100%-იანი წილის მფლობელია შპს „რეინოსო“ (HE 306208 (კვიპროსი)).

შპს „ქართულ ცემენტის“ (ს/ნ 230866435) 100%-იანი წილის მფლობელია „კავკასუსცემენტ ჰოლდინგ ბი.ვი“ (17142926 (ჰოლანდია)).

სააგენტოში წარმოდგენილი შეტყობინების თანახმად, კონცენტრაციის მხარეებთან დაკავშირებული ეკონომიკური აგენტებიდან არც ერთი არ საქმიანობს კონცენტრაციის შესაბამის ბაზარზე.

შეტყობინებაში მითითებულია, რომ ბოლო 3 წლის განმავლობაში მათ შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისაგან წილები არ შეუძენიათ.

კონცენტრაციის ფორმა:

შპს „ქართული ცემენტი“ აპირებს შეიძინოს შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ აქტივები მისი ქონების სახით, რაშიც ძირითადად მოიაზრება შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ საკუთრებაში არსებული ქ. ფოთში მდებარე ერთი ცემენტის ქარხანა.

კონცენტრაციის მიზანი და გეგმა:

მხარეთა განცხადებით, კონცენტრაციის მიზანია შემძენის მიერ სამიზნე კომპანიის მთელი ქონების შესყიდვით ცემენტის წარმოებისა და რეალიზების გაზრდა.

შეტყობინებაში მითითებული მოსაზრების თანახმად, აღნიშნული კონცენტრაციის შედეგად, გაიზრდება ცემენტის წარმოება, რაც შესაძლებელს გახდის მომხმარებელთა დროულად დაკმაყოფილებას, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურული და საყოფაცხოვრებო პროექტების განხორციელებას. ამასთანავე, ბაზარზე გაიზრდება როგორც პროდუქტის მოცულობა, ასევე ასორტიმენტიც. მხარის მითითებით, კონცენტრაცია არ გამოიწვევს ბაზრის სტრუქტურის მნიშვნელოვან ცვლილებას, რადგან შესაძენი საწარმოს ბაზრის წილი უმნიშვნელოა.

შეტყობინებაში მოცემულია შემძენის პოზიცია შესაბამის ბაზართან დაკავშირებითაც. კერძოდ, მხარე მიუთითებს, რომ გარიგებაში მონაწილე მხართა საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, კონცენტრაციის შესაბამის ბაზრად უნდა განისაზღვროს ცემენტის წარმოების ბაზარი. ამასთან, მხარეთა საქმიანობის გეოგრაფიული არეალიდან გამომდინარე, კონცენტრაციის გეოგრაფიულ ბაზარს წარმოადგენს ეროვნული დონე - საქართველოს ტერიტორია. დროითი ჩარჩო კი ბაზარს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე არ გააჩნია, ვინაიდან, საქმიანობა არის მუდმივი.

შეტყობინებაში ასევე მოცემულია სამი საკითხი, რომლებმაც, მხარეთა მოსაზრებით, შესაძლოა გავლენა იქონიოს სააგენტოს მხრიდან საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე:

1. კონცენტრაციის შედეგად შესაბამისი ბაზრის სტრუქტურა, კონკურენციის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანად არ შეიცვლება. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ შესაძენი საწარმოს ბაზრის წილი უმნიშვნელოა და მხარის ინფორმაციით არ აღემატება მთლიანი ბაზრის %-ს;
2. შემძენ საწარმოს გააჩნია ცემენტის და ბეტონის წარმოების მნიშვნელოვანი გამოცდილება, რაც დამატებითი ინვესტიციების განხორციელების შემთხვევაში კომპანიას საშუალებას მისცემს, ამჟამად შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ კუთვნილ ფოთის ცემენტის ქარხანაში, გაზარდოს ცემენტის წარმოება ტონიდან ტონამდე. დეფიციტური ბაზრის პირობებში ეს მომხმარებელს მისცემს ცემენტის დამატებითი მოცულობით შემენის შესაძლებლობას, რაც ნიშნავს მეტ განხორციელებულ პროექტს;
3. კონცენტრაცია მრავალმხრივ სარგებლიანი იქნება როგორც საქართველოს ცემენტის ბაზრისა და მომხმარებლებისთვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკის, გარემოს დაცვისა და შრომის უსაფრთხოების მიზნებისთვისაც, რაც გამოიხატება იმაში, რომ შემძენი საწარმო კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ, 24 თვის განმავლობაში, გეგმავს დამატებითი ინვესტიციების განხორციელებას საწარმოში, რაც მოიაზრებს:

- წარმოების სრული ავტომატიზაციის თანამედროვე სისტემის დანერგვას, რაც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების გარდა, შრომის უსაფრთხოების მაღალ სტანდარტსაც უზრუნველყოფს;
- გარემოსდაცვითი სტანდარტების ამაღლებას (ასპირაციული ფილტრების და მილგაყვანილობის მოწესრიგება);
- ელექტროენერგიით მომარაგების მოწესრიგებას ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით;
- საწარმოში შეფუთული ცემენტის პალეტაიზერის მოწყობას, რაც გააუმჯობესებს გარემოსდაცვით პირობებს და გამოასწორებს დღეს არსებულ ლოგისტიკურ პრობლემებს.

შეტყობინებაში ასევე აღნიშნულია, რომ შემძენი საწარმოს გამოცდილების, კომპეტენციისა და რესურსების გათვალისწინებით, საწარმოს ოპერირება განხორციელდება მაღალი სტანდარტის დაცვით. შესაძლებელი იქნება აღმოიფხვრას საწარმოს ხშირი გაჩერებით გამოწვეული პრობლემები ბაზარზე. კონცენტრაციის შედეგად, შესაძლებელი გახდება ცემენტის დამატებითი კლასების გამოშვება და ასორტიმენტის გაფართოება (დაბალი ტუტე შემცველი ცემენტი, კომპოზიტური ცემენტი, დაბალი სითბო გამოყოფის ცემენტები დაგეგემილი ჰესებისა და პორტის პროექტებისთვის და ა.შ.). იმპორტი ჩანაცვლდება და ხელი შეეწყობა დაგეგმილი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების (პორტები, ჰესები, საგზაო ინფრასტრუქტურა და ა.შ) დროულ მომსახურებას. მიუხედავად იმისა, რომ ცემენტის წარმოების ჯამური რაოდენობა გაიზრდება, სინერგია შპს „ქართული ცემენტის“ არსებულ

ქარხნებთან (კასპი, რუსთავი, ფოთი) გამოიწვევს ლოგისტიკის ოპტიმიზაციას და ნაკლებ გადაზიდვებს ქვეყნის მასშტაბით.

მხარეებმა დაადასტურეს, რომ შეტყობინებაში წარმოდგენილი ინფორმაცია შეესაბამება სიმართლეს და მათთვის ცნობილია არასწორი ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სამართლებრივი შედეგები.

II. სამართლებრივი მიმოხილვა

სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის შესახებ შეტყობინების წარდგენის, განხილვისა და სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღების მატერიალური და პროცედურული საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ: „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომ - „კანონი“), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, „სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით და სხვა.

სააგენტოსათვის წინასწარ შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, რომელიც ერთობლივად აკმაყოფილებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 და მე-11[1] მუხლების მოთხოვნებს.

1. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის განმარტება, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრება ის უფლებები, რომელიც გამოიყენება კონცენტრაციის მიზნებისთვის კონტროლის განსახორციელებლად;
2. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად, სააგენტოსთვის წინასწარ შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ მისი კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილების საფუძველზე. ხოლო ამავე კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, სავალდებულო შეტყობინებას დაქვემდებარებული კონცენტრაციის სააგენტოს გვერდის ავლით განხორციელების შემთხვევაში, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს ეკისრება ჯარიმა, რომლის ოდენობა არ აღემატება სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის წინა ფინანსური წლის ერთობლივი შემოსავლის 5%-ს. ჯარიმის დაკისრება შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე პირს არ ათავისუფლებს სააგენტოსთვის შეტყობინების წარმოდგენისგან. ჯარიმის დაკისრების

პარალელურად, შეტყობინების წარმოდგენის ვადას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს სააგენტო და იგი არ შეიძლება იყოს 14 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სააგენტო განიხილავს კანონმდებლობის გვერდის ავლით განხორციელებულ კონცენტრაციას და იმ შემთხვევაში თუ ის მიიჩნევა დაუშვებლად, ჯარიმის დაკისრების პარალელურად მიმართავს სასამართლოს კონცენტრაციის გაუქმების და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მიზნით;

3. „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, ჯარიმის ოდენობის დადგენისას გათვალისწინებული უნდა იქნეს შესაბამისი დარღვევით გამოწვეული ზიანი, დარღვევის ხანგრძლივობა და სიმძიმე. თავის მხრივ, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 2 დეკემბრის N04/158 ბრძანებით დამტკიცებული „ჯარიმების ოდენობის დადგენის სახელმძღვანელო პრინციპების“ მიხედვით, ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის პროცესში სააგენტო მოქმედებს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნის დასაცავად და ითვალისწინებს მხარეთა ინტერესებს. კერძოდ, უზრუნველყოფს, რომ მის მიერ გამოყენებული ჯარიმა იყოს სამართლიანი, პროპორციული და პრევენციული ხასიათის. ჯარიმის დაკისრების დროს, გასათვალისწინებელია, ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი თუ გაუფრთხილებლობით, პირი მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით, თუ საკუთარი საწარმოს რთულ ვითარებაში ჩაგდების თავიდან ასაცილებლად, ან პირველად ჩაიდინა თუ არა მან მსგავსი ქმედება და სხვა. ჯარიმის განსაზღვრის დამატებითი კრიტერიუმები ასევე მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც. ჯარიმის ინდივიდუალური ოდენობის გამოთვლის დროს, მხედველობაში მიიღება პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებები, კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი პირის ეკონომიკური მდგომარეობა;

4. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სააგენტოსათვის წინასწარ სავალდებულო წერილობით შეტყობინებას ექვემდებარება კონცენტრაცია, თუ მისი მონაწილე პირების ერთობლივი (ჯამური) წლიური შემოსავალი საქართველოს ტერიტორიაზე, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების წარმოშობის წინა ფინანსური წლის მდგომარეობით, აღემატება 20 მილიონ ლარს და, ამასთან, კონცენტრაციის მონაწილე მინიმუმ ორი პირიდან თითოეულის წლიური ერთობლივი შემოსავალი აღემატება 5 მილიონ ლარს;

5. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ერთობლივი შემოსავალი გულისხმობს შეტყობინების წინა ფინანსური წლის განმავლობაში კონცენტრაციის მონაწილეთა ჯამურ წლიურ ერთობლივ შემოსავალს, ხოლო ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, თუ კონცენტრაცია ეხება ერთი ან რამდენიმე საწარმოს ნაწილის ან ნაწილების შეძენას, მიუხედავად იმისა, ისინი დამოუკიდებელი ერთეულები არიან თუ არა, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას გაითვალისწინება მხოლოდ ამ საწარმოთა კონცენტრაციას

დაქვემდებარებული ნაწილის/ნაწილების შესაბამისი შემოსავალი შესაბამისი ბაზრის ანალიზისმეთოდური მითითებების საფუძველზე.

6. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის მონაწილეთა ერთობლივი შემოსავლის გამოთვლისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ერთეულების ერთობლივი შემოსავალი: ა) კონცენტრაციაში მონაწილე პირი; ბ) კონცენტრაციაში მონაწილე პირთა მიერ პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლირებადი ან პირდაპირ ან არაპირდაპირ მაკონტროლებელი საწარმოები; გ) საწარმოები, რომლებიც იმყოფებიან კონცენტრაციის მონაწილე პირთა ერთობლივი კონტროლის ქვეშ.
7. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით - შემენით, ხელშეკრულებებით ან სხვა საშუალებებით კონტროლის მოპოვების შემთხვევაში – შეტყობინების წარდგენის ვალდებულება ეკისრება(თ) შემძენ ან/და კონტროლის უფლების მომპოვებელ პირ(ებ)ს;
8. კანონის მე-11^1 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სააგენტოს მიერ კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვისათვის დაწესებული საფასური შეადგენს 5 000 ლარს;
9. კანონის მე-11^1 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, თუ დაგეგმილი კონცენტრაცია ექცევა კანონის რეგულირების სფეროში, სააგენტო კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვას იწყებს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემდეგ და ამ დოკუმენტის წარდგენიდან არაუგვიანეს 25 სამუშაო დღისა, ვალდებულია განიხილოს და მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

   ა) დაგეგმილი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ;

   ბ) კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ, თუ არსებობს გონივრული ეჭვი, რომ შესაძლებელია დაგეგმილი კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადი არ იყოს ან თუ, საქმის სირთულიდან გამომდინარე, საჭიროა შესაბამისი საკითხის დამატებით შესწავლა. სააგენტოს მიერ აღნიშნულ ვადაში ერთ-ერთი გადაწყვეტილების მიუღებლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
10. კანონის მე-11^1 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში სააგენტო ვალდებულია კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინება განიხილოს კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 90 კალენდარული დღისა. ამ ვადაში სააგენტოს მიერ აღნიშნულ შეტყობინებაზე პასუხის გაუცემლობა დადებით პასუხად მიიჩნევა;
11. იმ ეკონომიკური აგენტების კონცენტრაციის რეგისტრაციისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ამ კანონის მე-11^1 მუხლით განსაზღვრული კონცენტრაციის თაობაზე

შეტყობინების ვალდებულება, აუცილებელია, არსებობდეს სააგენტოს გადაწყვეტილება მოსალოდნელი კონცენტრაციის კონკურენტული ეფექტის შესახებ. სააგენტოს მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ეკონომიკური აგენტის რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია;

12. კანონის მე-11[1] მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტებით გათვალისწინებული ვადების ამოწურვამდე ან სააგენტოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია. სააგენტოს მიერ უარყოფითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კონცენტრაციის განხორციელება აკრძალულია;
13. კანონის მე-11 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, კონცენტრაცია, რომელიც არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, თავსებადია კონკურენტულ გარემოსთან. ხოლო, კონცენტრაცია, რომელიც ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას - არ არის თავსებადი;
14. კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტისა და „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-2 მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და მე-14 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-4, მე-5 და მე-8 პუნქტების შესაბამისად, თუ განსახორციელებელი კონცენტრაციის შედეგად მოსალოდნელია ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვა, სააგენტო ამის შესახებ წერილობით აცნობებს კონცენტრაციის მხარეებს. მან/მათ სააგენტოს შეიძლება შესთავაზოს/შესთავაზონ ოპერაციის ცვლილების (მოდიფიკაციის) განხორციელება სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების სახით: ა) სტრუქტურული ხასიათის ღონისძიება წარმოადგენს მხარის/მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომლის განხორციელების შედეგად, იცვლება ბაზრის სტრუქტურა და ამ ბაზარზე შესაბამისი ეკონომიკური აგენტის მდგომარეობა. სტრუქტურული ხასიათის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს საქმიანობის/ბიზნესის ან აქტივების/წილის გაყიდვის გზით, ასევე, სხვა იმგვარი საშუალებით, რომელიც გავლენას ახდენს ბაზრის სტრუქტურაზე; ბ) ქცევითი ხასიათის ღონისძიება წარმოადგენს მხარის/მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს მის/მათ მიერ კონკრეტული ქმედების განხორციელებას ან კონკრეტული ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებას, ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის შენარჩუნების მიზნით. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოდიფიკაციის შედეგად კონცენტრაცია დააკმაყოფილებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ მოთხოვნას, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.
15. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მხარის/მხარეების მიერ შემოთავაზებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების მიუხედავად, დაგეგმილი კონცენტრაცია არსებითად შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების

ბაზარზე, იღებს გადაწყვეტილებას დაგეგმილი კონცენტრაციის დაუშვებლობის შესახებ. სააგენტოს გადაწყვეტილებაში, სხვა გარემოებებთან ერთად, ასევე მიეთითება მიზეზები, თუ რატომ მიიჩნია სააგენტომ შემოთავაზებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებები მიუღებლად.

16. კანონის მე-11 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებისა და „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-14 მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, სააგენტოს გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს ინფორმაცია კონცენტრაციის მხარის/მხარეების მიერ განსახორციელებელი სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების თაობაზე და მისი განხორციელების ვადა. თუ კონცენტრაცია განხორციელდა და კონცენტრაციის მხარემ/მხარეებმა შესაბამის ვადაში არ განახორციელა/არ განახორციელეს კანონით გათვალისწინებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიება, სააგენტო მას/მათ აკისრებს ჯარიმას ამ კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად. სააგენტო, კონცენტრაციის მხარისთვის/მხარეებისთვის ჯარიმის დაკისრებასთან ერთად, სასამართლოს წარუდგენს შუამდგომლობას თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით კონცენტრაციის გაუქმების შესახებ. ამ მიზნის მისაღწევად კონცენტრაციის მხარეს/მხარეებს შეიძლება დაეკისროს/დაეკისროთ სხვადასხვა ვალდებულება, მათ შორის, საწარმოს, წილის, აქტივების, ფასიანი ქაღალდების ან მათი ნაწილის გასხვისების, რეორგანიზაციის განხორციელების, კონკრეტული ხელშეკრულების შეწყვეტის ვალდებულებები. ამასთანავე, კონცენტრაციის მხარეს/მხარეებს განესაზღვრება/განესაზღვრებათ ვადა დაკისრებული ვალდებულებების შესასრულებლად.
17. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-14 მუხლის მე-17 ნაწილის თანახმად, სააგენტო უფლებამოსილია, კონცენტრაციის მხარეებს მოსთხოვოს ინფორმაციის მიწოდება განხორციელებული სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებების თაობაზე, გარკვეული პერიოდულობით.
18. კანონის მე-18 მუხლის 1-ლი ნაწილის „ლ[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო ეკონომიკურ აგენტთან მიმართებით უფლებამოსილია თანხმობა განაცხადოს ან უარი თქვას კონცენტრაციის მხარის/მხარეების მიერ შეთავაზებულ სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებაზე.
19. „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 და „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებებით დამტკიცებული კანონქვემდებარე აქტები განსაზღვრავს დაგეგმილი კონცენტრაციის შეფასებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან საკითხებს. კერძოდ, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანებით დამტკიცებული აქტით განსაზღვრულია კონცენტრაციის შეფასების პრინციპები, მეთოდები და შესაბამისი კრიტერიუმები, ხოლო „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული აქტი ადგენს სასაქონლო ბაზრის შესწავლისა და შეფასებისათვის საჭირო პრინციპებსა და მეთოდებს;

20. კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, სააგენტო უფლებამოსილია ეკონომიკურ აგენტს/მხარეს/დაინტერესებულ მხარეს მოსთხოვოს მისი საქმიანობის ან/და კონკრეტული ოპერაციის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის/დოკუმენტაციის (მათ შორის, კონფიდენციალური ინფორმაციის) წარდგენა, რომელიც საჭიროა სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელებისთვის.

III. ბაზრის ანალიზი

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე" სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება უნდა მოხდეს შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები;

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები;

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები.

ა) პროდუქციული საზღვრები

შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე.[2]

შპს „ქართული ცემენტის" მიერ წარმოებული პროდუქციის სეგმენტაცია შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ: ცემენტი, ბეტონი, კლინკერი და სხვა. ხოლო რაც შეეხება შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიას", მისი საქმიანობის სფერო მოიცავს მხოლოდ ცემენტის წარმოებას, შესაბამისად, ის საწარმოც, რომლის შეძენაც ხდება, სპეციალიზებულია ცემენტის წარმოებაზე. ამდენად, განსახილველი კონცენტრაცია უნდა განხორციელდეს ცემენტის წარმოების ბაზარზე.

ცემენტი არის წმინდად დაფქული მინერალური ფხვნილი, ჩვეულებრივ, ნაცრისფერი ფერის. მისი წარმოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მასალაა კირქვა და თიხა. არსებობს ცემენტის ორი ძირითადი სახე, ესენია: თეთრი ცემენტი და ნაცრისფერი ცემენტი. გარდა იმისა, რომ ცემენტის ეს ორი ტიპი გამოიყენება სხვადასხვა დანიშნულებით, განსხვავებულია მათი შემადგენლობაც, წარმოების პროცესი და, შესაბამისად, მასთან დაკავშირებული

[2] კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N 37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე" მე-8 მუხლის პირველი პუნქტი.

ხარჯებიც. თეთრი ცემენტის შემთხვევაში, მის დასამზადებლად გამოიყენება ისეთი პროდუქტები, რომლებიც თითქმის არ შეიცავენ რკინისა და მანგანუმის ოქსიდს, მაგ. სუფთა კირქვა (ან მარმარილო) და თეთრი კაოლინი. ამის საპირისპიროდ, ნაცრისფერ ცემენტში მაღალია რკინის ოქსიდისა და მანგანუმის შემადგენლობა. მათი ამგვარი შემადგენლობა თავის მხრივ განაპირობებს განსხვავებებს მათი წარმოების პროცესსა და დანახარჯებშიც, მაგ. თეთრი ცემენტისათვის გამოიყენება შედარებით მაღალი ღირებულების მასალა, როგორიცაა კაოლინი, რის გამოც, საბოლოო ჯამში ნაცრისფერი ცემენტის სრულიად წარმოების პროცესი მეტად მარტივი და ნაკლებად ხარჯიანია. რაც შეეხება მათ გამოყენებას, როგორც აღინიშნა, განსხვავებულია მათი დანიშნულებაც. თეთრი ცემენტი მეტწილად გამოიყენება დეკორატიული დანიშნულებით განსხვავებით ნაცრისფერი ცემენტისაგან, რომელსაც ძირითად სამშენებლო მასალად იყენებენ. აქედან გამომდინარე, ცემენტის ამ ორ ტიპს შორის არსებითი განსხვავებაა როგორც წარმოების, ასევე გამოყენების კუთხით - როგორც მწარმოებლის, ასევე მომხმარებლის გადმოსახედიდან, რის გამოც სააგენტო მათ სხვადასხვა პროდუქციულ ბაზრად მიიჩნევს. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ ცემენტის ეს ორი ტიპი სხვადასხვა პროდუქციულ ბაზრად არის მიჩნეული ევროკომისიის მიერ მყარად დადგენილი პრაქტიკითაც.[3]

რაც შეეხება თავად ნაცრისფერ ცემენტს, შესაძლებელია მისი დაყოფა კლასების მიხედვითაც. ცემენტის კლასები განისაზღვრება მის საწარმოებლად გამოყენებული მასალებისა და პროდუქტის სიმტკიცის მიხედვით. ცემენტის მახასიათებლების შეცვლა შეიძლება დანამატების გამოყენებითაც. ევროკავშირის EN 197-1 სტანდარტი განსაზღვრავს ცემენტის ხუთ კლასს, რომლებიც მოიცავს პორტლანდ ცემენტს, როგორც ძირითად შემადგენელს. მხარეთა შეტყობინებით წარმოდგენილ ინფორმაციაზე დაყრნობით სააგენტოს მიერ დადგენილია, რომ როგორც შემძენი კომპანია, ასევე შესაძენი ცემენტის ქარხანა აწარმოებენ მხოლოდ ორი კლასის ცემენტს, ესენია: CEM I - პორტლანდ ცემენტი, რომელიც მხოლოდ 5%-მდე შეიცავს დანამატებსა და სხვა კომპონენტებს; CEM II - კომპოზიტური პორტლანდ ცემენტი, რომელიც შეიცავს 35%-მდე სხვა დანამატებს. სააგენტოს მიერ გამოკვლეულ იქნა მხარეთა მიერ წარმოებული აღნიშნული კლასების ყველა ტიპის ცემენტი და დადგენილ იქნა, რომ შპს „ქართული ცემენტი", ასევე შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის" ფოთის ცემენტის ქარხანა აწარმოებენ მხოლოდ ნაცრისფერ ცემენტს. შესაბამისად, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს კონცენტრაციის შესაბამის პროდუქციულ ბაზრად განისაზღვროს ნაცრისფერი ცემენტის წარმოების ბაზარი კლასების მიხედვით შემდგომი სეგმენტაციის/ქვეკატეგორიზაციის გარეშე. სააგენტო აქვე უთითებს, რომ ნაცრისფერი ცემენტი შესაძლოა ასევე რეალიზებულ იქნას როგორც ნაყარი, ასევე შეფუთული სახით. ამ შემთხვევაში, კონცენტრაციაში მონაწილე ორივე მხარის მიერ წარმოებული ნაცრისფერი

[3] იხ. კომისიის 1998 წლის 11 ნოემბრის გადაწყვეტილება N COMP/M.1157 – Skanska/Scancem, პარაგრაფი 31; კომისიის 2001 წლის 01 მარტის გადაწყვეტილება N COMP/M.2317 – Lafarge/Blue Circle (II), პარაგრაფი 9; კომისიის 2004 წლის 08 დეკემბრის გადაწყვეტილება N COMP/M.3572 – Cemex/RMC, პარაგრაფი 11; კომისიის 2005 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება N COMP/M.3713 – Holcim/Aggregate Industries, პარაგრაფი 7; კომისიის 2014 წლის 05 ივნისის გადაწყვეტილება N M.7009 – Holcim/Cemex West, პარაგრაფი 24; კომისიის 2014 წლის 09 სექტემბრის გადაწყვეტილება N M.7054 – Cemex / Holcim assets, პარაგრაფი 34 და სხვა.

ცემენტის შემდგომი რეალიზება ხდება როგორც ნაყარი, ასევე შეფუთული სახით. განსახილველი კონცენტრაციის შეფასების მიზნებისათვის კი სააგენტო არ მიიჩნევს საჭიროდ ბაზრის ამ ნიშნით ქვეკატეგორიზაციას. ამდენად, განსახილველი კონცენტრაციის შესაბამის პროდუქციულ საზღვრად მიიჩნეულ იქნა ზოგადად **ნაცრისფერი ცემენტის ბაზარი შემდგომი ქვეკატეგორიზაციის გარეშე**.

ბ) გეოგრაფიული საზღვრები

ევროკომისიის გამოცდილებითა და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გათვალისწინებით, შესაბამისი ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები კონკრეტული საქმის გარემოებების შესაბამისად, შესაძლოა განისაზღვროს სამიზნე საწარმოდან 150 ან 250 კმ-იან რადიუსში, ასევე გეოგრაფიულ საზღვრად შეიძლება დადგინდეს ეროვნული დონეც ან ცალკეულ შემთხვევებში სრულად ევროპის ეკონომიკური ზონა (EEA).[4]

განსახილველ შემთხვევაში, პროდუქციის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შემძენის მიერ ცემენტის წარმოება ხორციელდება როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ საქართველოში, სააგენტოს მიერ ბაზრის გეოგრაფიულ საზღვრად განისაზღვრა ეროვნული დონე.

გ) დროითი ჩარჩო

პროდუქციის წარმოება და/ან მიწოდება არ ხასიათდება სეზონურობით, შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია კონკრეტული დროითი ჩარჩო.

კონცენტრაციაში მონაწილე მხარეების საბაზრო წილის გამოთვლა:

ბაზრის ანალიზის პროცესში, სააგენტო ეყრდნობა აუცილებლობისა და თანაზომიერების პრინციპებს და ბაზრის ანალიზს ახორციელებს მიზნის მისაღწევად საჭირო და პროპორციული კვლევის ჩატარების გზით.

„ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანების მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის მოცულობა წარმოადგენს დროის განსაზღვრულ პერიოდში ბაზარზე მიწოდებული საქონლის/მომსახურების რეალიზაციის მოცულობას.

---

[4] იხ. კომისიის 2001 წლის 01 მარტის გადაწყვეტილება N COMP/M.2317, LAFARGE/BLUE CIRCLE (II); კომისიის 2000 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილება N COMP/M.1779 - Anglo American/Tarmac; კომისიის 2003 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება N M.3267, CRH/Cementbouw; კომისიის 2004 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება N COMP/M.3415, CRH / SEMAPA / SECIL JV; კომისიის 2014 წლის 09 სექტემბრის გადაწყვეტილება N M.7054, CEMEX / HOLCIM ASSETS.

ბაზრის მოცულობის, მოქმედი ეკონომიკური აგენტების რაოდენობისა და მათი საბაზრო წილების გამოთვლის მიზნით, სააგენტომ სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ გამოითხოვა ინფორმაცია 2023 წელს ცემენტისა და კლინკერის იმპორტის შესახებ დეკლარაციაში არსებული ყველა ველის მითითებით.[5] სააგენტომ შესაბამისი ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდანაც 2023 წელს ქვეყანაში მოქმედი იმ კომპანიების შესახებ, რომლებიც აწარმოებდნენ ცემენტსა და კლინკერს.[6] ბაზრის მოცულობისა და ბაზარზე მოქმედი კომპანიების საბაზრო წილების გამოთვლის მიზნებისთვის, სააგენტო დაეყრდნო სსიპ შემოსავლების სამსახურის გადასახადების ადმინისტრირების სისტემა „ORACLE“-ს მონაცემებსაც, კერძოდ, ეკონომიკური აგენტების გამოწერილ სასაქონლო ზედნადებებს.

<u>მიღებული ინფორმაციების ანალიზის შედეგად, დადგინდა შემდეგი:</u>

1. 2023 წელს ცემენტის წარმოების ბაზარზე ქვეყნის მასშტაბით ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებდა **52** კომპანია;

2. შპს „ქართული ცემენტის“ საბაზრო წილმა შეადგინა - **%**;

3. შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ საბაზრო წილმა (ვინაიდან, აღნიშნული კომპანია ოპერირებდა მხოლოდ კონკრეტული ცემენტის ქარხნით, რომლის შესყიდვაც არის დაგეგმილი, საბაზრო წილების დაანგარიშებისას მხედველობაში იქნა მიღებული კომპანიის მაჩვენებლები სრულად) შეადგინა – **%;**

3. ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსმა (HHI) შეადგინა **2932.2** ერთეული;

4. კონცენტრაციის განხორციელების შედეგად, მხარეთა ჯამური საბაზრო წილი მიაღწევს **%-ს**, ხოლო ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი გაიზრდება **739.23** პუნქტით **3671.43** ერთეულამდე.

სააგენტოს უმთავრესი მიზანი კონცენტრაციების შეფასების ნაწილში არის ის, რომ შეისწავლოს არსებითად ზღუდავს თუ არა კონცენტრაცია ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე და შესაძლოა თუ არა მან გამოიწვიოს დომინანტური პოზიციის მოპოვება ან არსებულის გაძლიერება. შესაბამისად, კონცენტრაციების კონტროლის მიზანს წარმოადგენს პირთა ისეთი კონცენტრაციის დაუშვებლობა, რომელიც არსებითად შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას შესაბამის ბაზარზე და დაგეგმილი კონცენტრაციის შედეგად კონკურენციის არსებითი შეზღუდვა მათ შორის კავშირშია ამ ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის შექმნასთან ან მის გაძლიერებასთანაც (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თავის მხრივ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი არ ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ შესაბამის ბაზარზე მისი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. თუკი კონცენტრაცია მნიშვნელოვნად ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, სააგენტო ვალდებულია აკრძალოს იგი, გარდა იმ

[5] სააგენტოს 2024 წლის 04 სექტემბრის N 02/3256 წერილი.
[6] სააგენტოს 2024 წლის 04 სექტემბრის N 02/3252 წერილი.

შემთხვევისა, თუ კონცენტრაციის მონაწილე მხარეები მოახდენენ მის მოდიფიცირებას კონკურენციასთან დაკავშირებით შექმნილი შესაძლო პრობლემების მოსაგვარებლად.

დამუშავებული მონაცემების გაანალიზების საფუძველზე კი გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები და სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა შემდეგი რისკები:

1) განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ჰორიზონტალური კონცენტრაცია. სააგენტოს მიერ დამუშავებული მონაცემებით შპს „ქართული ცემენტის“ საბაზრო წილი კონცენტრაციის განხორციელებამდე არსებული მდგომარეობით განისაზღვრა %-ით, ხოლო შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ საბაზრო წილმა შეადგინა %. ამდენად, განსახილველი ტრანზაქციის შესრულებით, ძლიერდება შპს „ქართული ცემენტის“ დომინანტური პოზიცია.

2) ბაზრის კონცენტრაციის ჰერფინდალ-ჰირშმანის (HHI) ინდექსი კონცენტრაციის განხორციელებამდე შეადგენს 2932.2-ს, ხოლო კონცენტრაციის განხორციელების შემთვევაში, იგი გაიზრდება 3671.43-მდე. ამდენად, კონცენტრაციის ინდექსის ცვლილება (ΔHHI) შეადგენს 739.23 ერთეულს. ინდექსის აღნიშნული მაჩვენებლების გათვალისწინებით, ბაზარი, არსებული მდგომარეობით, „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის N37 ბრძანების მე-19 მუხლის მე-3 პუქნტის შესაბამისად, უკვე მაღალკონცენტრირებულია (HHI საგრძნობლად აღემატება 2250-ს), რა შემთხვევაშიც, იმისათვის, რომ ეს კონცენტრაცია არ იწვევდეს ეფექტიანი კონკურენციის არსებით შეზღუდვას, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკუნკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-8^2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მისი ცვლილება ნაკლები უნდა იყოს 150-ზე. განსახილველ შემთხვევაში კი ამ მაჩვენებელმა შეადგინა 803.64 ერთეული.

3) იმ შემთხვევაშიც კი თუ HHI მაჩვენებლები დააკმაყოფილებდა შესაბამის მოთხოვნებს, ჰორიზონტალური კონცენტრაციის შეფასების კრიტერიუმების თანახმად, გარდა ჰერფინდალ-ჰირშმანის (HHI) ინდექსისა, გასათვალისწინებელი იქნებოდა „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკუნკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-8^2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ის საგამონაკლისო პირობებიც, რომელთა არსებობის შემთხვევაში მიუხედავად ზემოაღნიშნული ინდექსების მაჩვენებლებისა, კონცენტრაცია მაინც გამოიწვევდა ეფექტიანი კონკურენციის შეზღუდვას. ამ საგამონაკლისო პირობებს შორისაა შემთხვევა,

. განსახილველ შემთხვევაში კი, როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ქართული ცემენტის“

და იგი . რაც კიდევ ერთი ფაქტორია, რის გამოც, ასევე სავარაუდოა, რომ აღნიშნული კონცენტრაცია გამოიწვევს ეფექტიანი კონკურენციის შეზღუდვას.

შესაბამისად, რადგანაც ბაზრის ანალიზის ეტაპზე მონაცემთა დამუშავების შედეგად სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ იქნა რიგი პრობლემური საკითხები, რომელთა

არსებობის პირობებშიც არსებობდა გონივრული ეჭვი, რომ კონცენტრაცია არ იქნებოდა თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან, „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკუნკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, შეტყობინების წარმოდგენის ვალდებულების მქონე მხარეს ეცნობა, რომ არსებობდა გონივრული ეჭვი, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია, შესაძლოა, არ ყოფილიყო თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან და სააგენტოს მოსაზრებით, მისი განხორციელების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვა. მხარეს ასევე განემარტა, თუ რა ფაქტორები განაპირობებდა ამ ეჭვის არსებობას და მიეთითა, რომ შეეძლო სააგენტოსათვის შემოეთავაზებინა ოპერაციის იმგვარი ცვლილება (მოდიფიკაცია) სტრუქტურული ან/და ქცევითი ღონისძიებების სახით, რაც აღმოფხვრიდა სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემებს.[7]

IV. სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებები

იმისათვის, რომ დაგეგმილი კონცენტრაცია გამხდარიყო თავსებადი კონკურენტულ გარემოსთან და მას არ მოეხდინა უარყოფითი გავლენა შესაბამის ბაზარზე ეფექტიან კონკურენციაზე, მხარეებმა სააგენტოს შესთავაზეს ოპერაციის ცვლილება (მოდიფიკაცია) დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებების გატარებაზე ვალდებულებების აღების გზით.

მხარემ შესაბამისი ვალდებულებების აღების თაობაზე პირველადი შემოთავაზება სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებული რისკების დასაძლევად წარადგინა 2024 წლის 02 დეკემბრის N 01/6139 წერილით.

სააგენტოს მიერ შესაბამისი მოდიფიკაციების შეფასების ზოგადი ჩარჩო

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ განსახორციელებელი კონცენტრაციის შედეგად მოსალოდნელია ეფექტიანი კონკურენციის არსებითი შეზღუდვა, კონცენტრაციის მხარემ/მხარეებმა შეიძლება სააგენტოს შესთავაზოს/შესთავაზონ ოპერაციის ცვლილების (მოდიფიკაციის) განხორციელება სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიების სახით. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მოდიფიკაციის შედეგად კონცენტრაცია არსებითად არ ზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ.

სააგენტოს შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ კონცენტრაციის მონაწილე მხარის მიერ შეთავაზებულ ვალდებულებებს (სტრუქტურულ ან/და ქცევითი ხასიათის ღონისძიებებს), იგი არ აწესებს ცალმხრივ პირობებს დადებითი გადაწყვეტილების მიღებასთან

[7] სააგენტოს 2024 წლის 15 ნოემბრის N 02/4503 წერილი.

დაკავშირებით. სააგენტოსათვის შემოთავაზებული ოპერაციის ცვლილების ღონისძიება შეიძლება იყოს სტრუქტურული ან/და ქცევითი ხასიათის.

სტრუქტურული ხასიათის ღონისძიება წარმოადგენს მხარის/მხარეების მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომლის განხორციელების შედეგად, იცვლება ბაზრის სტრუქტურა და ამ ბაზარზე შესაბამისი ეკონომიკური აგენტის მდგომარეობა. სტრუქტურული ხასიათის ცვლილება შესაძლებელია განხორციელდეს საქმიანობის/ბიზნესის ან აქტივების/წილის გაყიდვის გზით (მაგ. დივესტიცია), ასევე, სხვა იმგვარი საშუალებით, რომელიც გავლენას ახდენს ბაზრის სტრუქტურაზე და ისინი ზოგადად წარმოადგენენ ერთჯერად ზომებს. რაც შეეხება ქცევითი ხასიათის ღონისძიებებს, ეს გულისხმობს მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებას, რომელიც მოიცავს კონკრეტული ქმედების განხორციელებას ან კონკრეტული ქმედების განხორციელებისგან თავის შეკავებას ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის შენარჩუნების მიზნით (მაგ. წვდომასთან დაკავშირებული ღონისძიებები). ეს საშუალებები, როგორც წესი, მოქმედებენ გარკვეული დროის მანძილზე და, შესაბამისად, საჭიროებენ მონიტორინგის საშუალო ან გრძელვადიან ღონისძიებებს.

სააგენტო მხარის მიერ ამგვარი ღონისძიებების შემოთავაზების შემთხვევაში მათ განიხილავს და ამ პროცესში სხვა საკითხებთან ერთად გააანალიზებს, თუ რამდენად არის შეთავაზებული ღონისძიებები პროპორციული და საკმარისი იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული კონცენტრაციის განხორციელების შედეგად საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის შეზღუდვა და, ასევე, თუ რამდენად არის განხორციელებადი შემოთავაზებული ღონისძიებები. ღონისძიებათა შეფასების პროცესში სააგენტო ასევე აანალიზებს შემოთავაზებული ღონისძიებების ფორმას, მოცულობას, მასშტაბსა და მნიშვნელობას კონცენტრაციის შესაბამისი ბაზრის სტრუქტურისა და ძირითადი მახასიათებლების გათვალისწინებით, ასევე იმას, თუ რამდენად შესაძლებელია აღნიშნული მოდიფიკაციების საშუალებით ბაზარზე ეფექტიანი კონკურენციის შენარჩუნება. თუკი შემოთავაზებული ღონისძიებები შეესაბამება სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ მოთხოვნებს, სააგენტოს დისკრეციისა და შეფასების ფარგლებშია თუ რამდენად მისაღებია ამგვარი მოდიფიკაციები. შესაბამისი ანალიზისა და შესწავლის შემდგომ თუკი სააგენტო მიიჩნევს, რომ მოდიფიკაციის შედეგად, კონცენტრაცია არსებითად არ შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე, მიიღებს გადაწყვეტილებას კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის შესახებ. ამგვარი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, სააგენტო უფლებამოსილი იქნება კონცენტრაციის მხარე(ებ)ს მოსთხოვოს ინფორმაციის მოწოდება განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე, გარკვეული პერიოდულობით მათი შესრულების მონიტორინგის მიზნით.

მხარეთა მიერ შემოთავაზებული პირველადი მოდიფიკაციები

სააგენტოს 2024 წლის 11 ნოემბრის N02/4503 წერილის პასუხად, მხარემ წარმოადგინა შეთავაზება ოპერაციის ცვლილების (მოდიფიკაციის) განხორციელების თაობაზე, შემძენი

კომპანიის, შპს „ქართული ცემენტის“, მიერ ქცევითი ხასიათის ღონისძიებების შემოღების სახით.

მხარის მოსაზრებით, სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებების გატარება განსახილველ შემთხვევაში შეუძლებელია, რადგან დაგეგმილია მხოლოდ ერთი ცემენტის საწარმოს შეძენა. დამკვიდრებული პრაქტიკით კი, საერთაშორისო დონეზე სტრუქტურული ხასიათის ღონისძიებების შემოღება ხდება მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როდესაც ხდება მრავალფუნქციური, მრავალკომპონენტიანი კონცენტრაცია, სადაც შესაძლებელია ტრანზაქცია დაიყოს და მოხდეს მისი მოდიფიკაცია, გარკვეული ქონების დივესტიციის გზით. შესაბამისად, იმის გამო, რომ კონცენტრაცია გულისხმობს მხოლოდ ერთი საწარმოს შეძენას, აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მხარის მიერ შემოთავაზებულ იქნა დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის რიგი ღონისძიებების შემოღება, დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ საზღვრებში, განსაზღვრული დროით.

ქცევითი ხასიათის ღონისძიებების შემოფარგვლა დასავლეთ საქართველოს არეალით განპირობებულია იმ გარემოებით, რომ კონცენტრაცია ხორციელდება დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქ. ფოთში მდებარე ცემენტის საწარმოს შეძენით. ბაზარზე დამკვიდრებული პრაქტიკით კი, დასავლეთ საქართველოში მდებარე ცემენტის საწარმოები დიდწილად მომხმარებლებს ამარაგებენ სწორედ დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. შესაბამისად, კონცენტრაციის ეფექტიც შემოიფარგლება დასავლეთ საქართველოს არეალით. იმისათვის, რომ ქცევითი ღონისძებების შემოფარგვლა ამ არეალით გამართლებული იყოს, კომპანიამ გამოთქვა მზაობა, აიღოს ვალდებულება, რომ კონცენტრაციის განხორციელებიდან 3 წლის მანძილზე არ მოახდენს ფოთის ქარხანაში წარმოებული ცემენტის რეალიზაციას აღმოსავლეთ საქართველოში.

რაც შეეხება ქცევითი ხასიათის ღონისძიებების მოქმედებისათვის შემოთავაზებულ ვადებს, მხარის მოსაზრებით, რეგიონში არსებული არასტაბილური გეოპოლიტიკური, სავალუტო და ეკონომიკური პირობების გათვალისწინებით, აღნიშნული ვადები წარმოადგენს იმ მაქსიმუმს, რომლის ფარგლებშიც კომპანიას შეუძლია გარკვეული გონივრული პროგნოზის გაკეთება და შემოთავაზებული ვალდებულებების აღება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კონცენტრაციის განხორციელების შემდეგ შემძენმა კომპანიამ გამოთქვა მზაობა, გაატაროს დროებითი დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებები, რაც გამოიხატება შემდეგში:

<u>ცემენტის ძირითადი ტიპებისა და კლინკერის ფასის ზედა ზღვრების შემოღება:</u>

1. დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიულ ფარგლებში, კონცენტრაციის განხორციელებიდან 3 (სამი) კალენდარული წლის განმავლობაში კომპანია არ დაუშვებს ცხრილი #1-ში მოცემული ცემენტის ფასების ზედა ზღვარზე მეტად გაზრდას, გარდა იმ შემთხვევ(ებ)ისა, როდესაც ფასის ზრდა გამოწვეულია გაუთვალისწინებელი, ობიექტური ან/და კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზ(ებ)ით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ისეთი გარემოებების არსებობისას, რომელთა წინასწარ განჭვრეტა და მათი ფასზე ზემოქმედების

განსაზღვრა შესაძლებელია, კომპანია სააგენტოს წინასწარ აცნობებს და ფასის დადგენილ ზღვარზე მეტად ზრდას განახორციელებს მხოლოდ სააგენტოსგან დასტურის მიღების შემდეგ. ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ცვლილებების წინასწარ განჭვრეტა და შესაბამისად, სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმება, კომპანია იტოვებს უფლებას განახორციელოს ფასის ზედა ზღვარზე მეტად ზრდა, სააგენტოს შემდგომი (გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა) ინფორმირების პირობით, რაც გულისხმობს სააგენტოს მხრიდან ამგვარ ცვლილებაზე შემდგომ თანხმობას/დასტურს. სააგენტოს მხრიდან შემდგომი უარის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია სარეალიზაციო ფასი კვლავ მოაქციოს დადგენილი ფასის ზედა ზღვრის ფარგლებში, ან ფასის ზღვარზე მეტად ზრდა განახორციელოს სააგენტოს მიერ მითითებულ ფარგლებში (ასეთი მითითების არსებობის შემთხვევაში). სააგენტოს შემდგომი უარი არ უნდა იყოს მიჩნეული კომპანიის მხრიდან აღებული ვალდებულების დარღვევად.

ცხრილი #1.

#	პროდუქტი (ცემენტის ტიპები)	ამჟამინდელი ფასი	ფასის ზედა ზღვარი 1-ელ წელს	ფასის ზედა ზღვარი მე-2 წელს	ფასის ზედა ზღვარი მე-3 წელს
1	CEM I 42.R ნაყარი				
2	CEM II A-L 42.5R ნაყარი				
3	CEM II A-L 42.5R შეფუთული				
4	CEM II B-L 32.5N შეფუთული				

ცხრილი #1-ში მოცემულია:

1) ცემენტის აღნიშნული ტიპების ქარხნიდან (EXW) გასაყიდი ამჟამინდელი საშუალო შეწონილი ფასები დღგ-ს გარეშე, აშშ დოლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დღეისათვის დადგენილი აშშ დოლარისა და ლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად. აქვე განვმარტავთ, რომ ცხრილში მოცემული ცემენტის ტიპები წარმოადგენს დასავლეთ საქართველოში დღეისათვის კომპანიის მიერ რეალიზებული ცემენტის მოცულობის 90%-ზე მეტს. სამომავლოდ არ არის გამორიცხული, რომ კომპანიამ აწარმოოს განსხვავებული ტიპის ცემენტებიც. თუმცა, ამ ეტაპზე, კომპანია მოკლებულია შესაძლებლობას, განსაზღვროს ასეთი ცემენტის ტიპების მიმდინარე ან/და სამომავლო ფასი.
2) დროებითი დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებების გატარების პერიოდისთვის (3 კალენდარული წელი კონცენტრაციის განხორციელებიდან) დასავლეთ საქართველოში სარეალიზაციო ფასის ზედა ზღვრები აშშ დოლარში.

ფასების ზედა ზღვრები შემოთავაზებულია ბაზარზე უკანასკნელი ექვსი წლის განმავლობაში ცემენტის ფასთა ცვლილების წლიური დინამიკის შესაბამისად. კერძოდ, 2019 წლიდან 2024 წლის ჩათვლით ცემენტის ფასის კუმულატიურმა წლიურმა ზრდის ტემპმა (CAGR) შეადგინა % (წლიური).

ცხრილში #2 მოცემულია ისტორიული მონაცემები, სადაც ჩანს 2019 წლიდან 2024 წლის ჩათვლით კომპანიის მიერ დასავლეთ საქართველოში რეალიზებული ცემენტის საშუალო შეწონილი ფასის კუმულატიური წლიური ზრდა, რაც კომპანიამ მიიჩნია ქცევითი ხასიათის ღონისძიების განსაზღვრის საფუძვლად:

ცხრილი #2

პროდუქტი[8]	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**დაგროვებითი წლიური ზრდის ტემპი, CAGR**
ცემენტი							

1.2. კონცენტრაციის განხორციელებიდან 2 (ორი) კალენდარული წლის განმავლობაში კომპანია არ დაუშვებს კლინკერის ფასის ცხრილი #4-ში მოცემულ ზედა ზღვარზე მეტად გაზრდას, გარდა იმ შემთხვევ(ებ)ისა, როდესაც ფასის ზრდა გამოწვეულია გაუთვალისწინებელი, ობიექტური ან/და კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზ(ებ)ით. ამგვარ შემთხვევაში, ისეთი გარემოებების არსებობისას, რომელთა წინასწარ განჭვრეტა და მათი ფასზე ზემოქმედების განსაზღვრა შესაძლებელია, კომპანია სააგენტოს წინასწარ აცნობებს და ფასის დადგენილ ზღვარზე მეტად ზრდას განახორციელებს მხოლოდ სააგენტოსგან დასტურის მიღების შემდეგ. ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ცვლილებების წინასწარ განჭვრეტა და შესაბამისად, სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმება, კომპანია იტოვებს უფლებას განახორციელოს ფასის ზედა ზღვარზე მეტად ზრდა, სააგენტოს შემდგომი (გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა) ინფორმირების პირობით, რაც გულისხმობს სააგენტოს მხრიდან ამგვარ ცვლილებაზე შემდგომ თანხმობას/დასტურს. სააგენტოს მხრიდან შემდგომი უარის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია სარეალიზაციო ფასი კვლავ მოაქციოს დადგენილი ფასის ზედა ზღვრის ფარგლებში, ან ფასის ზღვარზე მეტად ზრდა განახორციელოს სააგენტოს მიერ მითითებულ ფარგლებში (ასეთი მითითების არსებობის შემთხვევაში). სააგენტოს შემდგომი უარი არ უნდა იყოს მიჩნეული კომპანიის მხრიდან აღებული ვალდებულების დარღვევად.

ცხრილი #3-ში მოცემულია ისტორიული მონაცემები, სადაც ჩანს 2019 წლიდან 2024 წლის ჩათვლით კლინკერის საშუალო შეწონილი ფასის კუმულატიური წლიური ზრდა:

ცხრილი #3

პროდუქტი	**2019**	**2020**	**2021**	**2022**	**2023**	**2024**	**დაგროვებითი წლიური ზრდის ტემპი, CAGR**
კლინკერი							

[8] ნაყარი ცემენტის საშუალო შეწონილი ფასი დასავლეთ საქართველოში კომპანიის კუთვნილი ფოთის ცემენტის ქარხნიდან და სუფსის ტერმინალიდან

2019 წლიდან 2024 წლის ჩათვლით კლინკერის ფასის კუმულატიურმა წლიურმა ზრდის ტემპმა (CAGR) # შეადგინა (წლიური), თუმცა იმის გამო, რომ კლინკერის საწარმოო ხარჯები მეტწილად დამოკიდებულია რთულად პროგნოზირებად პროცესებზე, კომპანიის მოსაზრებით, ფასის ზედა ზღვრის დადგენისას კუმულატიური წლიური ზრდის მაჩვენებელი უნდა გაიზარდოს %-მდე. შესაბამისად, ცხრილში #4 წარმოდგენილია კლინკერის შემოთავაზებული ფასის ზედა ზღვრები კონცენტრაციის განხორციელებიდან 2 (ორი) წლის მანძილზე.

ცხრილი #4

პროდუქტი	**ამჟამინდელი ფასი**	**ფასის ზედა ზღვარი 1-ელ წელს**	**ფასის ზედა ზღვარი მე-2 წელს**
კლინკერი			

ცხრილში #4 მოცემულია:

1) კლინკერის ქარხნიდან (EXW) გასაყიდი ამჟამინდელი საშუალო შეწონილი ფასი დღგ-ს გარეშე, აშშ დოლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დღეისათვის დადგენილი აშშ დოლარისა და ლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად.
2) დროებითი დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებების გატარების პერიოდისთვის (2 კალენდარული წელი, კონცენტრაციის განხორციელებიდან) ფასების ზედა ზღვრები აშშ დოლარში.

აშშ დოლარში ფასების განსაზღვრის მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ გაცვლითი კურსის მაჩვენებელი კრიტიკულ გავლენას ახდენს პროდუქციის ფასწარმოქმნაზე. გაცვლითი კურსის წინასწარ განსაზღვრის შეუძლებლობის გამო, იმისათვის, რომ ქცევითი ხასიათის ღონისძიებები შესაბამისობაში იყოს კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადობის უზრუნველყოფის მიზანთან, და ამავდროლუად, დაცული იყოს კომპანიის კანონიერი ინტერესებიც, მიგვაჩნია, რომ ფასის ზედა ზღვარი უნდა განისაზღვროს აშშ დოლარის ექვივალენტით ლარში, გაყიდვის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

<u>**მიწოდებაზე უარის თქმის დაუშვებლობა:**</u>

შემძენი კომპანია იღებს ვალდებულებას, არ დაუშვას პროდუქციის მომხმარებლისთვის მიწოდებაზე (მიყიდვაზე) უარის თქმა არასამართლიანი საფუძვლით, რაც მიზნად ისახავს კონკურენტულ გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მოხდენას, კერძოდ, კონკურენტის ჩამოშორებას/ბაზრიდან განდევნას. მიწოდებაზე უარის თქმის დაუშვებლობა არ შეიძლება გავრცელდეს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კომპანია, კონკურენტულ გარემოზე

უარყოფითი ზეგავლენის მოხდენის განზრახვის გარეშე, უარს ამბობს მიწოდებაზე ობიექტური მიზეზით, როგორიცაა: წარმადობის ლიმიტი, აღებული ვალდებულებების შესრულება, წარმოების შემცირება ტექნიკური გაუმართაობის გამო ან სხვა ობიექტური მიზეზით, ლოგისტიკური სირთულეები პროდუქციის მიწოდებისას, სხვა ობიექტური ან/და კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზ(ებ)ი. აქვე განვმარტავთ, რომ კომპანია არ დაუშვებს წარმოების მოცულობის ხელოვნურად შემცირებას მიწოდების შემცირების/მიწოდებაზე უარის თქმის გასამართლებლად.

ანგარიშვალდებულება სააგენტოსთან:

კომპანია მზად არის, დამოუკიდებელი ქცევითი ღონისძიებების შემოთავაზებული ვადით, ანუ კონცენტრაციის განხორციელებიდან 3 (სამი) კალენდარული წლის მანძილზე, აწარმოოს ანგარიშგება სააგენტოსთან. კერძოდ, ყოველ 6 (ექვსი) თვეში ერთხელ კომპანია წარუდგენს სააგენტოს ინფორმაციას დადგენილი ქცევითი ხასიათის ღონისძიებების შესრულების თაობაზე, ასევე, სააგენტოს მხრიდან მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ინფორმაციასა და დოკუმენტაციას.

მხარეთა მიერ შემოთავაზებული პირველადი მოდიფიკაციების შეფასება

ტრანზაქციისა და ბაზრის სტრუქტურის შესწავლის შედეგად, მხარეთა არგუმენტების გათვალისწინებით, შესაძლოა ითქვას, რომ აღნიშნული კონცეტრაციის განხორციელება იძლევა შესაძლებლობას, მნიშვნელოვნად გაიზარდოს ეფექტიანობა სინერგიის გაზრდის შედეგად, რამაც შემდგომში ხელი შეუწყოს ხარჯების შემცირებას, ბაზარზე გამოყენებული ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა თუ სიახლეების დანერგვას. იქიდან გამომდინარე, რომ შემძენ კომპანიას დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ერთი საწარმო აქვს, მოთხოვნა კი დღითიდღე მზარდია, მომხმარებელთათვის შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველსაყოფად საჭირო ხდება აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ქარხნებში წარმოებული პროდუქტის ტრანსპორტირება, რასთან დაკავშირებული მაღალი დანახარჯებიც ზრდის პროდუქტის მიწოდების ზოგად დანახარჯებს და, შესაბამისად, საბოლოო ჯამში - სარეალიზაციო ფასსაც. ამდენად, თუკი ახალი საწარმოს შეძენით კომპანია გაზრდის დასავლეთ საქართველოში წარმოებას, არსებულ მდგომარეობასთან შედარებით შემცირდება დანახარჯებიც, რაც უნდა აისახოს პროდუქტის ფასზე და შეამციროს იგი. ეს უკანასკნელი კი თავისთავად გააუმჯობესებს მომხმარებლის მდგომარეობას. ამასთან, ხარჯებისა და, შესაბამისად, ფასების შემცირება შესაძლოა განაპირობოს ოპერაციულმა სინერგიამაც, რაც ძალთა გაერთიანების შედეგი იქნება. აქვე გასათვალისწინებელია მასშტაბის ეკონომია და ეფექტიანობის ზრდაც. სააგენტომ მხედველობაში მიიღო ის გარემოებაც, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში სამიზნე კომპანიის მხრიდან რეალიზებული ცემენტის ოდენობა 2022 წელს რეალიზებული პროდუქტის მაჩვენებელი

2023 წლის

მონაცემებით, რეალიზებული პროდუქტის ნიშნული

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ განსახორციელებელი ტრანზაქციის შედეგად ახალი საწარმოს შეძენით ძლიერდება შპს „ქართული ცემენტის“ დომინანტური მდგომარეობა, სააგენტოს მოსაზრებით, აღნიშნული კონცენტრაცია შესაძლოა მიჩნეულ იქნას თავსებადად მხარის მიერ გარკვეული ვალდებულებების აღების გზით ოპერაციის ცვლილების შემთხვევაში.

სააგენტოს შეფასებით, განსახილველ შემთხვევაში სტრუქტურული ღონისძიებების გამოყენება იქნებოდა ნაკლებად რელევანტური და არაეფექტიანი. იმგვარი ღონისძიების გამოყენება, როგორიცაა დივესტიცია, განსახორციელებელ ტრანზაქციასთან მიმართებით იქნებოდა არაპროპორციული. მაგალითისათვის, გამომდინარე იქიდან, რომ ხდება მხოლოდ ერთი საწარმოს შეძენა (ისიც იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შემძენი დღეისათვის დასავლეთ საქართველოში წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ქარხნით, რომელიც არ არის საკმარისი დააკმაყოფილოს მოთხოვნა ლოკალურ დონეზე), ალოგიკური და სრულიად არაპროპორციული მექანიზმი იქნებოდა სააგენტოს მოეთხოვა მხარისაგან, რომ მას საოპერაციო აქტივების ან სხვა რომელიმე ქარხნის გასხვისების გზით განეხორციელებინა სტრუქტურული ღონისძიებები. ამასთანავე, სააგენტომ მეტად სარისკოდ შეაფასა სტრუქტურული ღონისძიების განხორციელება ქარხნის გაზიარების სახით - ბაზრის სპეციფიკიდან გამომდინარე, რადგანაც მოქმედი სუბიექტების აბსოლუტური უმრავლესობა მცირე საბაზრო წილის მფლობელია, ხოლო ძირითადი საბაზრო ძალაუფლება გადანაწილებულია რამდენიმე სუბიექტს შორის, სააგენტოს შეფასებით, იმგვარი დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტთან ერთად, როგორიც შპს „ქართული ცემენტია“, ერთი ქარხნის გაზიარება და მისი ერთობლივად ოპერირება მნიშვნელოვნად გაზრდიდა კოორდინირებული ქმედებების რისკებს, რაც კიდევ უფრო უარყოფითად აისახებოდა ბაზარზე და მას შეიძლება მეტი რისკი შეექმნა კონკურენტული გარემოსათვის, ვიდრე ეს კონცენტრაციის განხორციელებას მოჰყვებოდა. გარდა ამისა, სააგენტომ არ მიიჩნია ეფექტიან მექანიზმად სტრუქტურული ღონისძიების გატარება არც რომელიმე ცალკეული დანადგარის გასხვისების სახით, ვინაიდან, ასეთ შემთხვევაში ბაზრის სტრუქტურა კვლავ პრობლემურს გახდიდა შემძენი კანდიდატის შერჩევას, ასევე ქარხნის მუშაობის პრინციპიდან და თავისებურებიდან გამომდინარე, ამგვარი ღონისძიება ნაწილობრივ აზრსაც დაუკარგავდა საწარმოს შეძენას და მის ამუშავებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ოპერაციის ცვლილების (მოდიფიკაციის) შესაბამის ფორმად სააგენტომ არ მიიჩნია სტრუქტურული სახის ღონისძიებები. მიუხედავად ამისა, რადგანაც ცალკეულ შემთხვევებში თუკი იგი ეფექტიან მექანიზმად იქნება შეფასებული, შესაძლოა ქცევითი ღონისძიებების გამოყენებაც, სააგენტომ განიხილა მხარის მიერ წარმოდგენილი დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებები და შეაფასა თუ რამდენად დაკმაყოფილდებოდა ამ გზით აუცილებელი პირობები, რათა სააგენტოს ამ ვალდებულებების შესრულების პირობით კონცენტრაცია კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ეცნო.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან, საკითხი ეხება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ საწარმოს შეძენას, რისი მეშვეობითაც ის განიმტკიცებს თავის პოზიციას და დამატებით იმის გათვალისწინებით, რომ ბაზარი არის მაღალკონცენტრირებული (რაც ზოგადად შესვლის მაღალ ბარიერებთან ერთად დამახასიათებელია ცემენტის ბაზრისათვის), სააგენტოს მიერ იდენტიფიცირებულ ერთ-ერთ მთავარ რისკს წარმოადგენს ტრანზაქციის განხორციელების შემდეგ კომპანიის მიერ პროდუქტებზე ფასების ზრდის შესაძლებლობა/საფრთხე. იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოს მიერ სტრუქტურული ღონისძიებების გამოყენება არ იქნა მიჩნეული სათანადო, ეფექტიან და პროპორციულ მექანიზმად, მიზანშეწონილად ჩაითვალა ერთ-ერთი დამოუკიდებელი ქცევითი ღონისძიების სახით მხარისათვის ვალდებულების დაკისრება არ გაზარდოს ფასები წინასწარ დადგენილ ზღვრებზე მეტად. სააგენტოს შეფასებით, ამ მექანიზმის გამოყენება ბაზრის თავისებურებებიდან გამომდინარე ემსახურება იმას, რომ აღმოიფხვრას იმგვარი ანტიკონკურენტული ეფექტის მქონე ქმედების განხორციელების შესაძლებლობა, როგორიცაა ფასების ზრდა და ამგვარად არ მოხდეს მომხმარებლებისათვის (რომლებიც ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება შპს „ქართული ცემენტის“ კონკურენტებიც იყვნენ შესაბამის ბაზარზე, რაზეც ქვემოთაც იქნება საუბარი) მდგომარეობის გაუარესებით ზიანის მიყენება.

შემძენი კომპანია ცემენტთან ერთად, აწარმოებს კლინკერსა და ბეტონსაც. შესაბამისად, ვერტიკალური ინტეგრაციის გათვალისწინებით, სააგენტომ უდიდესი მნიშვნელობის მქონედ მიიჩნია ის, რომ ქცევითი ღონისძიებები დაწესებულიყო არამხოლოდ ცემენტის წარმოებისა და რეალიზაციის ნაწილში, არამედ ქცევითი ღონისძიებები შეხებოდა კლინკერის წარმოებასაც, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი კონცენტრაციის შესაბამის ბაზარს არ წარმოადგენს. აღნიშნულის აუცილებლობას განაპირობებს კლინკერის, როგორც პროდუქტის კრიტიკული მნიშვნელობა ცემენტის წარმოების პროცესში, რომლის გარეშეც შეუძლებელია ამ პროდუქტის მიღება. ამასთან, კლინკერის ფასი, მეტწილად განაპირობებს თავად ცემენტის ფასსაც. როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ქართული ცემენტი“ ამ მიმართულებით ვერტიკალურად არის ინტეგრირებული რამდენიმე დონეზე, რადგან თავად აწარმოებს როგორც ცემენტს, ასევე კლინკერს და ახდენს მის შემდგომ რელიზაციას. შესაბამისად, კომპანიის ქცევაზე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული კონკურენტული გარემოს ხარისხი ბაზრის როგორც ჰორიზონტალურ, ასევე ვერტიკალურ ნაწილში. აქედან გამომდინარე, სააგენტომ ცემენტის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების დასაცავად, აუცილებლად მიიჩნია ამ ნაწილშიც გამოეყენებინა ქმედითი ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ ცემენტის მწარმოებელ კომპანიათა უმრავლესობა თავად ახდენს კლინკერის იმპორტს, შემძენი კომპანია რამდენიმე სუბიექტისათვის და, რაც მეტად მნიშნელოვანია, ბაზარზე საბაზრო წილის მქონე და შპს „ქართული ცემენტის“ კონკურენტისათვის ახდენს წარმოებული კლინკერის მიწოდებას. შესაბამისად, კრიტიკული მნიშვნელობის მქონეა შპს „ქართულ ცემენტს“ არ მისცემოდა საშუალება თავისი საბაზრო ძალაუფლების კიდევ უფრო განმტკიცების შედეგად ცალმხრივად, კონკურენტის ჩამოშორების მიზნით, შეეწყვიტა ან შეეზღუდა მათთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი პროდუქტის მიწოდება. ამასთანავე, აუცილებლად იქნა მიჩნეული, მას აეღო ვალდებულება, რომ არცერთ სუბიექტს არ ეტყვის უარს მიწოდებაზე გაუმართლებელი მიზეზით, რაც მნიშნელოვანია როგორც ბაზარზე

მოქმედი მცირე ზომის კომპანიებისათვის, რომელთა რიცხვიც საკმაოდ დიდია, ასევე იმ პირთათვის, რომლებიც აპირებენ ცემენტის წარმოების დაწყებას და რომელთაც მაღალი შესვლის ბარიერების ფონზე კიდევ უფრო გაურთულდებოდათ ბაზარზე შესვლა.

რაც შეეხება ცემენტს, იგი გამოიყენება ბეტონის წარმოებისთვის და შესაბამისად, ცემენტის შემძენი შესაძლო იყოს არამხოლოდ საბოლოო მომხმარებელი, არამედ ბეტონის მწარმოებელი კომპანიაც (რომლებიც თავის მხრივ შპს „ქართული ცემენტისათვის" ასევე წარმოადგენენ კონკურენტებს ბეტონის ბაზარზე). შესაბამისად, ქცევითი ხასიათის ღონისძიებების დაწესება სააგენტომ მიზანშეწონილად მიიჩნია როგორც ცემენტის, ასევე კლინკერის ნაწილში. კერძოდ, ღონისძიებები გატარდა არამარტო ფასების ზედა ზღვრების დაწესების კუთხით, არამედ კომპანიამ აიღო ვალდებულება არ შეზღუდოს წვდომა იმ აუცილებელ პროდუქტებზე, რაც ცემენტისა თუ ბეტონის წარმოებისათვის არის საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ შპს „ქართულ ცემენტს" მსგავსი ზოგადი ვალდებულება ისედაც გააჩნდა, როგორც დომინანტური მდგომარეობის მქონე სუბიექტს, ამგვარი ვალდებულების იმპლემენტაცია სააგენტოს მხრიდან მნიშვნელოვნად იქნა მიჩნეული, რადგან დადგენილი პერიოდისათვის მუდმივ რეჟიმში გაკონტროლდეს სუბიექტის ქცევა. გარდა ამისა, იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევა და შემდგომში მისი გამართლება არ მომხდარიყო წარმოების მოცულობის სიმცირით, რა შემთხვევაშიც კომპანია იტყოდა, რომ მას უბრალოდ არ გააჩნია მისაწოდებელი პროდუქტი საკმარისი ოდენობით, ამ ნაწილშიც განისაზღვრა შესაბამისი ვალდებულებები. კერძოდ, კომპანიამ მათ შორის იკისრა ვალდებულება იმის თაობაზეც, რომ ხელოვნურად არ შეამციროს წარმოების მოცულობა და ამით არ შეაფერხოს მიწოდების პროცესი.

რაც შეეხება ფასებზე ზედა ზღვრების დაწესებას, შემდგომ პერიოდებზე რელევანტური მაქსიმალური ოდენობის განსასაზღვრად გაანალიზებულ იქნა ბოლო ექვსი წლის მაჩვენებლები სრულად და აღნიშნულის შესაბამისად, ინფლაციის დონის გათვალისწინებით, მოხდა იმ ზედა ზღვრების დაწესება, რომელთა მეტადაც დაუშვებელია კომპანიის მხრიდან ფასების მატება. ამგვარი ვალდებულების დაწესების მთავარი მნიშვნელობა იმის უზრუნველყოფაში მდგომარეობს, რომ გაზრდილი საბაზრო ძალაუფლების პირობებში კომპანია ფასების გაუმართლებელი ზრდით არ გააუარესებს მომხმარებლების მდგომარეობას. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ბაზარი ხშირად განიცდის ცვლილებებს, პროცესი დინამიურია და განსაკუთრებით კლინკერის ნაწილში ფასები ხასიათდება ძალიან ხშირი ცვალებადობით, იმისათვის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო რაიმე გაუთვალისწინებელი პირობების დადგომისას შესაბამისი რეაგირება და კომპანია არ აღმოჩენილიყო წამგებიან პოზიციაში, სააგენტოს მიერ გათვალისწინებულ იქნა შემოთავაზებული მექანიზმი, რომლის საშუალებითაც სააგენტოს წინასწარი თანხმობით ან შემდგომი დასტურით შესაძლებელი იქნება ამ ზღვრული მაჩვენებლების გადახედვა.

საბოლოოდ კი, იმისათვის, რომ აღნიშნული ღონისძიებების გატარების თაობაზე აღებული ვალდებულებები არ დარჩენილიყო ზოგად პირობებად, მათი შესრულება შესაბამისი განსაზღვრული პერიოდისათვის დაექვემდებარება სააგენტოს მხრიდან მუდმივ მონიტორინგს. კერძოდ, მხარეს დაეკისრება ვალდებულება სააგენტოში გარკვეული პერიოდულობით წარმოადგინოს ანგარიშები და ყველა საჭირო დოკუმენტაცია/ინფორმაცია,

ამასთანავე სააგენტო სუბიექტის ქცევას გადაამოწმებს თავისივე შეხედულებისამებრ საჭირო ყველა მექანიზმის გამოყენებით, რათა დარწმუნდეს, რომ არ ხდება დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება გაზრდილი საბაზრო ძალაუფლების ფონზე მომხმარებელთა და კონკურენტთათვის ზიანის მისაყენებლად. ამგვარი მუდმივი მონიტორინგის მეშვეობით სააგენტო შეძლებს ბაზარზე სხვადასხვა ანტიკონკურენტული ქმედების იდენტიფიცირებასაც, მათი არსებობის შემთხვევაში.

სააგენტოს შეფასებით, ამგვარი ვალდებულებების დაკისრებისა და შესრულების პირობით კონცენტრაციის განხორციელებაზე თანხმობის მიცემა ხელს შეუწყობს ბაზრის სტაბილურობას, ეფექტიანობას და დაიცავს მომხმარებელთა ინტერესებს. სააგენტოს მიაჩნია, რომ ამგვარი ქცევითი ხასიათის ღონისძიებები აუცილებელი იყო იმგვარ ბაზარზე განსახორციელებელი კონცენტრაციისათვის, როგორიც ცემენტის წარმოების ბაზარია, რათა მასზე შენარჩუნდეს კონკურენტული გარემო, ფასები იყოს სამართლიანი და რომელიმე სუბიექტს არ შეეზღუდოს მიწოდება.

გარდა ამისა უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტომ ოპერაციის ცვლილებების სახით შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებების შერჩევისას გაითვალისწინა არა მხოლოდ ბაზრის სტრუქტურა, არამედ ბოლო წლებში მისი განვითარების დინამიკაც. რაც მოიაზრებს იმას, რომ ბაზრის შესწავლის შედეგად მასზე შემჩნეულ იქნა დადებითი ტენდეციები კომპანიების რაოდენობის ზრდის ტემპისა და მათი განვითარების კუთხით. მაგ. მზარდი ტენდენცია ფიქსირდება მცირე კომპანიების გამსხვილების კუთხით ბოლო სამწლიან პერიოდში. ამასთანავე, მიუხედავად ბაზრისათვის დამახასიათებელი მაღალი შესვლის ბარიერებისა (რაც ზოგადად ახასიათებს ამ ბაზარს მაღალი ხარჯებიდან, ინფრასტრუქტურის საჭიროებიდან და სხვა პირობებიდან გამომდინარე), აღინიშნება ბაზარზე ოპერირებადი კომპანიების ოდენობის ზრდის ტენდენციაც. მაგ. უკანასკნელ სამწლიან პერიოდზე ბაზარზე შესული ახალი სუბიექტების ოდენობაა 10, ამასთანავე ბაზარი არ დაუტოვებია არცერთ მათგანს. სწორედ აღნიშულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ბაზრის სტრუქტურისა და მახასიათებლებისა, ასევე შესვლის მაღალი ბარიერებისა, ბაზარი დიდწილად არ არის ჩაკეტილი. წარმოდგენილია რამოდენიმე ლიდერი კომპანია და მოქმედი სუბიექტების უმრავლესობა შემოიფარგლება მცირე საბაზრო წილებით, თუმცა ბაზრის ზრდის დინამიკა დადებითად უნდა შეფასდეს. ბაზრის ზრდის მაგალითად და ამ ნაწილში დადებითი ეფექტის მქონედ შესაძლოა შეფასდეს ისიც, რომ სააგენტომ მიმდინარე წლის განმავლობაში ცემენტის წარმოების ბაზარზე განხორციელებულ კიდევ სამ კონცენტრაციაზე გასცა თანხმობა, რომელთა მოკვლევის შედეგადაც განსახილველ კონცენტრაციასთან მიმართებით შეიძლება აღინიშნოს, რომ მცირე სუბიექტების გამსხვილება და შესაბამის ბაზარზე დამატებითი ინვესტირება ხელს უწყობს ამ ეტაპისათვის არსებული კონკურენციის გაძლიერებას. იმის ფონზე, რომ ამ ეტაპზე ბაზარზე მხოლოდ რამდენიმე მსხვილი კომპანიაა, ძალების ამგვარი გაერთიანების შედეგად დომინანტი სუბიექტისათვის მნიშვნელოვანი კონკურენციის გაწევის შესაძლებლობა ეძლევათ შედარებით მცირე ზომის კომპანიებს. ამდენად, ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯამებით შესაძლებელია დასკვნის გამოტანა, რომ ბაზარზე მოთხოვნა მუდმივ რეჟიმში მზარდია და საბოლოო ჯამში შეინიშნება განვითარების დადებითი დინამიკა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტომ შეაფასა მხარეთა მიერ შემოთავაზებული მოდიფიკაციები და მიიჩნია, რომ უმეტესწილად ამგვარი დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებების გატარება იქნებოდა ეფექტური.

V. პირობები და ვალდებულებები

მხარეთა მიერ შემოთავაზებული მოდიფიკაციების შესწავლისა და შეფასების შედეგად, ასევე პირველად მოდიფიკაციებში გარკვეული ცვლილებების შეტანის შემდგომ, სააგენტომ განსახილველი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად მიჩნევისათვის სათანადო ზომად მიიჩნია დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებების გატარება. დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებების ფორმისა და შესაბამისი პირობითი ვალდებულებების საბოლოო ვერსია ასახულია იმ ორმხრივ შეთანხმებაში, რომელიც დანართის სახით დაერთვის წინამდებარე გადაწყვეტილებას.

VI. კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს შეფასება

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ დაადგინა, რომ შპს „ქართული ცემენტის“ (ს/ნ 230866435) მიერ შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ (ს/ნ 404956286) აქტივების (ძირითადად ფოთში მდებარე ერთი ქარხნის) შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის შესაბამისად არსებითად არ შეზღუდავს ეფექტიან კონკურენციას საქართველოს ან მისი ნაწილის სასაქონლო ან მომსახურების ბაზარზე და შესაძლოა მიჩნეულ იქნას კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად, ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებითა და მასზე დანართის სახით დართული შეთანხმებით გათვალისწინებული დამოუკიდებელი ქცევითი ვალდებულებების შესრულების პირობით.

2024 წლის 04 ოქტომბერს N01/5078 შეტყობინებით წარმოდგენილ კონცენტრაციასთან დაკავშირებით პირობითი ვალდებულებების აღების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონისა (შემდგომში - „კანონი“) და „კონცენტრაციის თაობაზე შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 26 ოქტომბრის N39 ბრძანების (შემდგომში - „შეტყობინების წარდგენისა და განხილვის წესი“) შესაბამისად, შპს „ქართული ცემენტი“ (ს/ნ 230866435) (შემდგომში - „შემძენი“, „მხარე“ ან „კომპანია“) საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) წინაშე იღებს წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრულ პირობით ვალდებულებებს იმისათვის, რომ შპს „ქართული ცემენტის“ მიერ შპს „საქართველოს ცემენტის კომპანიის“ (ს/ნ 404956286) აქტივების შეძენის გზით განსახორციელებელი კონცენტრაცია მიჩნეულ იქნას კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად.

წინამდებარე დოკუმენტი ემსახურება კანონის მე-11 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, მხარის მიერ აღებული პირობითი ვალდებულებების - დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებების შესრულების პირობით განსახორციელებელი კონცენტრაციის კონკურენტულ გარემოსთან თავსებადად ცნობას.

1. ტერმინთა განმარტებები

ოპერაციის ცვლილების (მოდიფიკაციის) სახით მხარის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების თაობაზე წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

<u>ფასის ზედა ზღვარი</u> - პროდუქციის ის სარეალიზაციო ფასი, რომელზე მეტადაც მხარეს პროდუქტის გაყიდვა აკრძალული აქვს სააგენტოს წინასწარი ან/და შემდგომი თანხმობის გარეშე;

<u>სააგენტოს თანხმობა ფასების ცვლილებასთან დაკავშირებით</u> - მხარის მომართვის საფუძველზე სააგენტოს მიერ მიღებული წერილობითი გადაწყვეტილება, რომლითაც მხარეს ეძლევა ფასების ცვლილების უფლება;

<u>ფასების სააგენტოს მითითების შესაბამისად დაკორექტირება უმოკლეს ვადებში</u> - კომპანიის მხრიდან სააგენტოსთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეცვლილი ფასების სააგენტოს შემდგომი გადაწყვეტილების შესაბამისად დაკორექტირება პირველი შესაძლებლობისთანავე, დაუყოვნებლივ;

<u>წელი</u> - კალენდარული წელი, რაშიც მოიაზრება 12 თვიანი (კალენდარული თვე) პერიოდი.

2. მხარის მიერ აღებული დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებები

2.1. ვალდებულებები კლინკერის ფასის ზედა ზღვრების შემოღებასთან დაკავშირებით

2.1.1. კომპანია იღებს ვალდებულებას მასზედ, რომ იგი არ დაუშვებს კლინკერის სარეალიზაციო ფასის გაზრდას წინამდებარე დოკუმენტით გაწერილ წლიურ ზედა ზღვრებზე მეტად.

2.1.2. წინამდებარე დოკუმენტითა და შემდგომში სააგენტოს გადაწყვეტილებით კლინკერის სარეალიზაციო ფასების ზედა ზღვრები წესდება კონცენტრაციის განხორციელების დღიდან 2 (ორი) წლის ვადით. ამასთან, თითოეული წლისათვის განსაზღვრულია შესაბამისი ზღვრული სარეალიზაციო ფასი.

2.1.3. კლინკერის ქარხნიდან გასაყიდი (EXW) მოქმედი საშუალო შეწონილი ფასია [redacted] კონცენტრაციის განხორციელებიდან პირველი წლისათვის (იგულისხმება კონცენტრაციის განხორციელების დღიდან ერთი წლის განმავლობაში) კლინკერის ქარხნიდან (EXW) გასაყიდი ფასის ზედა ზღვარი იქნება [redacted], ხოლო მეორე წლისათვის (რაშიც მოიაზრება პირველი წლისათვის განსაზღვრული ციკლის დასრულების დღიდან შემდგომი ერთ წლიანი პერიოდი) კლინკერის ქარხნიდან (EXW) გასაყიდი ფასის ზედა ზღვარი იქნება [redacted].

2.1.4. შპს „ქართული ცემენტის" კლინკერის სარელიზაციო ფასების დადგენილ ზედა ზღვრებთან შესაბამისობა სააგენტოს მხრიდან შემოწმდება ყოველ ჯერზე პროდუქტის გაყიდვის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსის გათვალისწინებით.

2.1.5. ზემოაღნიშნული ზედა ზღვრების ცვლილება ექვემდებარება სააგენტოსთან სავალდებულო წესით შეთანხმებას.

2.1.6. იმგვარი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომლებმაც შესაძლოა, ფასებზე მოახდინონ გავლენა და გამოიწვიონ მათი ზრდა, თუკი შესაძლებელია მათი წინასწარ განჭვრეტა და ფასზე ზემოქმედების განსაზღვრა, ფასების დადგენილ ზღვარს ზემოთ ცვლილებისათვის აუცილებელია, კომპანიამ სააგენტოს წინასწარ აცნობოს ასეთის თაობაზე და ფასის დადგენილ ზღვარზე მეტად ზრდა განახორციელოს მხოლოდ სააგენტოსგან თანხმობის მიღების შემთხვევაში.

2.1.7. ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ამგვარი ცვლილებების წინასწარ განჭვრეტა და შესაბამისად, სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმება, კომპანიას შეუძლია ფასის ზედა ზღვარზე მეტად ზრდა სააგენტოსგან წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე მხოლოდ იმ პირობით, რომ მოხდება სააგენტოს შემდგომი (გონივრულ ვადაში, მაგრამ ფასების გაზრდის

---

[1] ფასები განსაზღვრულია ერთეულ ტონაზე, შესაბამისად, წინამდებარე პუნქტში მითითებული ფასები - როგორც მოქმედი, ასევე სამომავლო ფასების ნაწილში - არის ერთი ტონა კლინკერის ღირებულება. მითითებულია ქარხნიდან გასაყიდი (EXW) ფასები, დღგ-ის ჩათვლის გარეშე.

დღიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა) ინფორმირება მისგან ამ ცვლილებაზე თანხმობის მისაღებად.

2.1.8. სააგენტოს მხრიდან ფასების ზრდაზე შემდგომი უარის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია სარეალიზაციო ფასი კვლავ მოაქციოს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი ზედა ზღვრების ფარგლებში ან ზრდა განახორციელოს სააგენტოს მიერ მითითებული ახალი მაჩვენებლების შესაბამისად.

2.1.9. სააგენტოს შემდგომი უარი არ უნდა იქნას მიჩნეული კომპანიის მხრიდან წინამდებარე დოკუმენტით აღებული ვალდებულების დარღვევად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომპანია სააგენტოს მითითების შესაბამისად, უმოკლეს ვადებში დააკორექტირებს მის მიერ გაზრდილ ფასებს.

2.2. ვალდებულებები მიწოდების შეზღუდვის ან/და მიწოდებაზე უარის თქმის აკრძალვასთან დაკავშირებით

2.2.1. შემძენი კომპანია იღებს ვალდებულებას, არ დაუშვას პროდუქციის მომხმარებლისთვის მიწოდებაზე (მიყიდვაზე) უარის თქმა ან/და მისი შეზღუდვა.

2.2.2. დაუშვებელია დისკრიმინაციული მოპყრობა მცირე ზომის ან/და ბაზარზე ახლად შესული სუბიექტების მიმართ.

2.2.3. წინამდებარე დოკუმენტის 2.2.1. და 2.2.2. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებები არ გავრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კომპანიის შესაბამისი გადაწყვეტილება განპირობებულია იმგვარი ობიექტური მიზეზით, როგორიცაა: წარმადობის ლიმიტი, წარმოების შემცირება ტექნიკური გაუმართაობის გამო, დროში უფრო ადრე აღებული ვალდებულებების შესრულება, ლოგისტიკური სირთულეები პროდუქციის მიწოდებისას და სხვა ობიექტური ან/და კომპანიისგან დამოუკიდებელი მიზეზ(ებ)ი.

2.2.4. დაუშვებელია კომპანიის მხრიდან წარმოების მოცულობის ხელოვნურად შემცირება მიწოდების შემცირების/შეწყვეტის/მიწოდებაზე უარის თქმის გასამართლებლად.

2.2.5. სააგენტო უფლებამოსილია, გადაამოწმოს 2.2.3. პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების სისწორე/წამდვილობა, შესაბამისად, აღნიშნული პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების საფუძველზე უარის თქმა კომპანიის მხრიდან უნდა იყოს გამართლებული ისეთი ობიექტური გარემოებებით, რაც ახსნის კომპანიის მიერ 2.2.1. და 2.2.2. პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებისაგან განსხვავებულ ქცევას და ასევე, იყოს დადასტურებადი შესაბამისი დოკუმენტებით.

2.2.6. წინამდებარე დოკუმენტის 2.2. თავით გათვალისწინებული ვალდებულებები ვრცელდება და შეეხება არამხოლოდ კლინკერის, არამედ ცემენტის წარმოება-რეალიზაციასაც.

2.3. ვალდებულებები მხარეთა მიერ წარმოებული ცემენტის ძირითადი ტიპებისათვის ფასის ზედა ზღვრების შემოღებასთან დაკავშირებით

2.3.1. კომპანია იღებს ვალდებულებას მასზედ, რომ იგი არ დაუშვებს ცემენტის სარეალიზაციო ფასის გაზრდას წინამდებარე დოკუმენტით გაწერილ წლიურ ზედა ზღვრებზე მეტად.

2.3.2. წინამდებარე დოკუმენტითა და შემდგომში სააგენტოს გადაწყვეტილებით ცემენტის სარეალიზაციო ფასების ზედა ზღვრები წესდება კონცენტრაციის განხორციელების დღიდან 3 (სამი) წლის ვადით. ამასთან, თითოეული წლისათვის განსაზღვრულია შესაბამისი ზღვრული სარეალიზაციო ფასი.

2.3.3. სარეალიზაციო ფასის ზედა ზღვრები დადგინდება ოთხი ტიპის ცემენტისათვის, ვინაიდან, სამიზნე ქარხანა, ისევე, როგორც შემძენის საკუთრებაში არსებული დასავლეთ საქართველოში მდებარე საწარმო, ძირითადად აწარმოებენ მხოლოდ ამ ტიპის ცემენტებს (მათ უჭირავთ წარმოების დაახლოებით 90%).

2.3.4. ცემენტის ამ კლასებისათვის ქარხნიდან გასაყიდი (EXW) ამჟამინდელი სარეალიზაციო საშუალო შეწონილი ფასებია: CEM I 42.R ნაყარი - [redacted]; CEM II A-L 42.5R ნაყარი - [redacted] CEM II A-L 42.5R შეფუთული - [redacted]; CEM II B-L 32.5N შეფუთული - [redacted] კონცენტრაციის განხორციელების დღიდან პირველი წლის განმავლობაში ცემენტის „CEM I 42.R ნაყარი" ქარხნიდან (EXW) გასაყიდი ფასის ზედა ზღვარი იქნება [redacted] მეორე წლისათვის იგი შეადგენს [redacted]-ს, ხოლო მესამე წელს [redacted] გახდება. კონცენტრაციის განხორციელების დღიდან პირველი წლის განმავლობაში ცემენტის „CEM II A-L 42.5R ნაყარი" ქარხნიდან (EXW) გასაყიდი ფასის ზედა ზღვარი იქნება [redacted] მეორე წლისათვის იგი შეადგენს [redacted]-ს, ხოლო მესამე წელს [redacted] გახდება. რაც შეეხება „CEM II A-L 42.5R შეფუთული"-ს, კონცენტრაციის განხორციელების დღიდან პირველი წლის განმავლობაში ცემენტის ამ კლასის ქარხნიდან (EXW) გასაყიდი ფასის ზედა ზღვარი იქნება [redacted] მეორე წლისათვის იგი შეადგენს [redacted]-ს, ხოლო მესამე წელს [redacted] გახდება. კონცენტრაციის განხორციელების დღიდან პირველი წლის განმავლობაში ცემენტის მეოთხე ტიპის - „CEM II B-L 32.5N შეფუთული"-ის - ქარხნიდან (EXW) გასაყიდი ფასის ზედა ზღვარი იქნება [redacted] მეორე წლისათვის იგი შეადგენს [redacted]-ს, ხოლო მესამე წელს [redacted] გახდება.[2]

2.3.5. ცემენტის ზემოჩამოთვლილი კლასების სარელიზაციო ფასების დადგენილ ზედა ზღვრებთან შესაბამისობა სააგენტოს მხრიდან შემოწმდება ყოველ ჯერზე პროდუქტის გაყიდვის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი კურსის გათვალისწინებით.

---

[2] ფასები ცემენტის ყველა კლასისათვის განსაზღვრულია ერთეულ ტონაზე. შესაბამისად, წინამდებარე პუნქტში მითითებული ფასები - როგორც მოქმედი, ასევე სამომავლო ფასების ნაწილში - ყველა ტიპის ცემენტისათვის არის ერთი ტონა პროდუქტის ღირებულება. მითითებულია ქარხნიდან გასაყიდი (EXW) ფასები, დღგ-ის ჩათვლის გარეშე.

2.3.6. წინამდებარე დოკუმენტის 2.3.4. პუნქტით გათვალისწინებული სარეალიზაციო ფასებისათვის დადგენილი ზედა ზღვრები იმოქმედებს მხოლოდ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გარდა წინამდებარე დოკუმენტის 3.1. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.

2.3.7. ზემოაღნიშნული ზედა ზღვრების ცვლილება ექვემდებარება სააგენტოსთან სავალდებულო წესით შეთანხმებას.

2.3.8. იმგვარი გარემოებების არსებობის შემთხვევაში, რომლებმაც შესაძლოა, ფასებზე მოახდინონ გავლენა და გამოიწვიონ მათი ზრდა, თუკი შესაძლებელია მათი წინასწარ განჭვრეტა და ფასზე ზემოქმედების განსაზღვრა, ფასების ზღვარს ზემოთ ცვლილებისათვის აუცილებელია, კომპანიამ სააგენტოს წინასწარ აცნობოს ასეთის თაობაზე და ფასის დადგენილ ზღვარზე მეტად ზრდა განახორციელოს მხოლოდ სააგენტოსგან შესაბამისი თანხმობის მიღების შემთხვევაში.

2.3.9. ისეთ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელია ამგვარი ცვლილებების განჭვრეტა და შესაბამისად, სააგენტოსთან წინასწარ შეთანხმება, კომპანიას შეუძლია ფასის ზედა ზღვარზე მეტად ზრდა სააგენტოსგან წინასწარი თანხმობის მიღების გარეშე მხოლოდ იმ პირობით, რომ მოხდება სააგენტოს შემდგომი (გონივრულ ვადაში, მაგრამ ფასების გაზრდის დღიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა) ინფორმირება სააგენტოს მხრიდან ამგვარ ცვლილებაზე თანხმობის მისაღებად.

2.3.10. სააგენტოს მხრიდან ფასების ზრდაზე შემდგომი უარის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია, სარეალიზაციო ფასი კვლავ მოაქციოს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილი ზედა ზღვრების ფარგლებში ან ზრდა განახორციელოს სააგენტოს მიერ მითითებული ახალი მაჩვენებლების შესაბამისად.

2.3.11. სააგენტოს შემდგომი უარი არ უნდა იქნას მიჩნეული კომპანიის მხრიდან წინამდებარე დოკუმენტით აღებული ვალდებულების დარღვევად იმ შემთხვევაში, თუ კომპანია სააგენტოს მითითების შესაბამისად, უმოკლეს ვადებში დააკორექტირებს მის მიერ გაზრდილ ფასებს.

3. მხარის მიერ აღებულ დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებების შესრულებასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულებები

3.1. კომპანია ვალდებულია, წინამდებარე დოკუმენტით გათვალისწინებული ქცევითი ხასიათის ღონისძიებების მოქმედების განმავლობაში დასავლეთ საქართველოში წარმოებული ცემენტის აღმოსავლეთ საქართველოში რეალიზაციის შემთხვევაში შესაბამისი პროდუქციის ნაწილში დაიცვას ამავე დოკუმენტის 2.3.4. პუნქტით დაწესებული მოთხოვნები;

3.2. შემძენი ასევე იღებს ვალდებულებას, არ გააუარესოს პროდუქციის ხარისხი სააგენტოს გადაწყვეტილებით დამტკიცებულები ფასების ზედა ზღვრების შესანარჩუნებლად.

4. სააგენტოს წინაშე ანგარიშვალდებულება

4.1. კომპანია იღებს ვალდებულებას, კონცენტრაციის განხორციელების დღიდან შესაბამისი დამოუკიდებელი ქცევითი ღონისძიებების მოქმედების სრული პერიოდისათვის აწარმოოს ანგარიშგება სააგენტოსთან.

4.2. ამ დოკუმენტის 4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებიდან გამომდინარე კომპანია ყოველ 6 (ექვსი) თვეში ერთხელ სააგენტოს წარუდგენს ყველა საჭირო ინფორმაციას დადგენილი ქცევითი ხასიათის ღონისძიებების შესრულების თაობაზე.

4.3. გარდა ზემოაღნიშნულისა, კომპანიის მხრიდან სააგენტოში წარდგენილ იქნება მონიტორინგის განსახორციელებლად საჭირო ყველა და ნებისმიერი ინფორმაცია და დოკუმენტაცია.

5. დამატებითი პირობები

5.1. იმ შემთხვევაში, თუკი წინამდებარე დოკუმენტით განსაზღვრული დამოუკიდებელი ქცევითი ხასიათის ღონისძიებების მოქმედების პერიოდში გამოიკვეთება ამგვარის საჭიროება, სააგენტომ შესაძლოა დაიწყოს შესაბამის გაზარზე შემდგომი მონიტორინგი.

5.2. წინამდებარე დოკუმენტით გაწერილი ღონისძიებების გატარების ვალდებულება მხარეს არ უნდა დაეკისროს იმ შემთხვევაში, თუკი რაიმე მიზეზის გამო შესაბამისი კონცენტრაცია არ/ვერ განხორციელდება.

5.3. თუკი წინამდებარე დოკუმენტით ნაკისრ პირობით ვალდებულებებს მხარე შესაბამისი წესით სათანადოდ არ შეასრულებს, სააგენტო უფლებამოსილია გაატაროს კანონის მე-11 მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

5.4. წინამდებარე დოკუმენტი დანართის სახით დაერთვის 2024 წლის 04 ოქტომბერს N01/5078 შეტყობინებით წარმოდგენილ კონცენტრაციასთან დაკავშირებით სააგენტოს გადაწყვეტილებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მხარეთა ხელმოწერები: